სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

25 აპრილი 2024

MRDI-RD N 2-03/5763

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველ მოადგილეს
ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ასლი: შპს „არილი“-ს დირექტორს
ბატონ დავით ივანიაძეს
ელექტრონული ფოსტა: ltdarili@gmail.com

ასლი: სს "EGIS INTERNATIONAL"-ის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ მენეჯერს
ქალბატონ ნატაშა კორიცას
ელექტრონული ფოსტა: info_projects@egis-georgia.com

ქალბატონო ნანა,

თქვენი 01.04.2024 წლის №22/2210 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის კონგლომერატის (700,000 m^3) მოპოვებას, სადაც სალიცენზიო ობიექტი მიჯნაზეა ლოტი 1 - ვაზიანი საგარეჯოს მონაკვეთის (კმ4+040 - კმ27+840) ბუფერის კონტურთან, გაცნობებთ შემდეგს:

როგორც თქვენთვის ცნობილია დეპარტამენტი ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-5) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) მიმართულებით ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობის პროექტს. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით აუცილებელია ასაშენებელი გზის ბუფერში შენარჩუნებული იყოს ინერტული მასალის რეზერვი.

თქვენს მიერ წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტი ექცევა საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-5) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის მშენებლობისათვის საჭირო არეალის მიმდებარედ.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-5) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ლოტი 1 - ვაზიანი საგარეჯოს მონაკვეთის (კმ4+040 - კმ27+840), ლოტი 2 - საგარეჯოს შემოვლითი გზის (კმ27+840- კმ35+500), საგარეჯოს-ბადიაურის ლოტი 3 კმ35+500 - კმ52+540 და ბაკურციხე-წნორის მონაკვეთებზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. ასევე უახლოეს პერიოდში დაგეგმილია ბადიაური-ჩალაუბანის და ჩალაუბანი-ბაკურციხის მონაკვეთების სამშენებლო სამუშაოები.

შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, კომპეტენციის ფარგლებში, შესაძლებლად მიაჩნია შეგითანხმოთ, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის კონგლომერატის მოპოვება შემდეგი ტექნიკური პირობების დაცვის შემთხვევაში:

1. სალიცენზიო ობიექტზე მოპოვებითი სამუშაოები განხორციელდეს ვაზიანი საგარეჯოს მონაკვეთის (კმ4+040 - კმ27+840) საპროექტო გზის ბუფერს მიღმა.
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, ლიცენზიის გაცემიდან მისი მოქმედების ვადის პირველ ნახევარში (ერთწლიანი ლიცენნზიის შემთხვევაში, პირველი 6 თვის განმავლობაში, 2-წლიანი ლიცენზიის შემთხვევაში, პირველი ერთი წლის განმავლობაში და ა.შ.), არ გაასხვისოს მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის 50% და საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე, ლიცენზიის მოქმედების სრული პერიოდის განმავლობაში, უზრუნველყოს მისი გადაცემა განსაზღვრული ფასის (ლიცენზიის მფლობელის მიერ გადახდილი სააუქციონო ფასის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის განსაზღვრული მოსაკრებლისა და რესურსის მოპოვებისათვის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადასტურებული საჭირო თანხის ჯამი) შესაბამისად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ განსაკუთრებული მნიშვნელობის საგზაო და ნაპირდაცვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათ შორის საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-5) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის ლოტი 1 - ვაზიანი საგარეჯოს მონაკვეთის (კმ4+040 - კმ27+840), ლოტი 2 - საგარეჯოს შემოვლითი გზის (კმ27+840- კმ35+500), საგარეჯოს-ბადიაურის ლოტი 3 კმ35+500 - კმ52+540 და ბაკურციხე-წნორის მონაკვეთების და ასევე დეპარტამენტის იმ კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც განახორციელებენ განსაკუთრებული მნიშვნელობის საგზაო და ნაპირდაცვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათ შორის ბადიაური-ჩალაუბანის და ჩალაუბანი-ბაკურციხის მშენებლობის პროექტებს.
3. საავტომობილო გზის გასწვრივ, კონგლომერატის მოპოვების სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ, საჭიროების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებითი სამუშაოების დაწყებამდე წარმოადგინოს მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად შედგენილი საავტომობილო ტრანსპორტის შესასვლელის და გამოსასვლელის დეპარტამენტთან წინასწარ შეთანხმებული სქემატური ნახაზი, სადაც საფარის მოწყობა განხორციელდეს საავტომობილო გზის საფარის იდენტურად გზის ღერძიდან 30 მეტრის ფარგლებში.
4. საავტომობილო ტრანსპორტის გამოსასვლელთან ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სისუფთავის უზრუნველყოფაზე, რაც გულისხმობს ავტოთვითმცლელის ს/გზაზე გამოსვლამდე გაწმენდას მტვრისაგან, ჭუჭყისაგან და ტალახისაგან.
5. საავტომობილო ტრანსპორტის ს/გზაზე გამოსასვლელთან ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, რაც გულისხმობს დროებითი საგზაო ნიშნების მონტაჟს და საჭიროების შემთხვევაში მეალმის დაყენებას, იმისათვის, რომ მაქსიმალურად იქნას დაცული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება.
6. სალიცენზიო ობიექტიდან ტვირთის გადაზიდვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
7. სალიცენზიო ობიექტის ფუნქციონირების პერიოდში უზრუნველყოფილი იქნას, მთელი ტერიტორიის ფარგლებში, საავტომობილო გზის ელემენტების და წყალმომცილებელი საშუალებების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება.
8. სამუშაოების წარმოებისას საგზაო ინფრასტრუქტურის და/ან მიმდებარე ლანდშაფტის ელემენტების დაზიანების შემთხვევაში, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში და სამუშაოების

დამთავრების შემდეგ უნდა მოხდეს მათი პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა ლიცენზიის მფლობელის ძალებითა და სახსრებით, ს.ს. „კავკასავტომაგისტრალი“-ს და სს "EGIS INTERNATIONAL"-ის წარმომადგენლის მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე სამუშაოების დასრულების შემდეგ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია 1 წლის განმავლობაში წარმოდგენილ მონაკვეთზე გამოვლენილი ხარვეზების (ასეთის წარმოქმნის შემთხვევაში) აღმოფხვრა უპირობოდ განახორციელოს საკუთარი ძალებით და სახსრებით. აღნიშნული ვადის გასვლა არ ათავისუფლებს ზიანის მიმყენებელს ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

9. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის საავტომობილო გზაზე ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით.
10. ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას იმოქმედოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დანართის სახით გიგზავნით სალიცენზიო ობიექტის მიმდებარედ საპროექტო გზის ბუფერს.

დანართი: საპროექტო გზის ბუფერის shapefile.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

ელექტრონული ხელმოწერა/ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED